(Ομιλία 15 Νοεμ.2020 Γεωργιανά)

# მართმადიდებლური სასულიერო ჰიმნოგრაფიის შესახებ სიტყვა

15 ნოემბერი 2020 წელი

მართმადიდებლურ ეკლესიაში ხშირად ვხედავთ კედლებზე გამოსახულ ეკონოგრაფიულ ზეციური ანგელოზების ლტურღიის გამოსახულებას, რომელიც ასახავს აგრეთვე საღვრთო ლტურღიას, რომელსაც ჩვენ, ადამიანები, ვასრულებთ ჩვენს წმინდა ეკლესიებში. როგორ ვისაუბრეთწინა ქადაგებაში, ანგელოზები და ადამიანები ერთნი არიან ზეციური და მიწიერი უფლის თაყვანისცემისას. იმის და მიხედვით, თუ როგორ ადიდებენ და დიდებას აღავლენენ სამწმინდა ღმერთის წინაშე წმინდა ანგელოზები, რომლებიც დგანან ყოვლისშემძლე უფლის ტახტის წინაშე, ასევე ჩვენც ვიკრიბებით მიწიერი ღმერთის ტახტის (წმინდა ტახტის ან საკურთხევლის) გარშემო. ჩვენ აღვავლენთ დაწესებულ ლოცვებს (ჩვენ პირად თხოვნებთან ერთად), ხოლო წმინდა ევქარისტიული საიდუმლოებების დასრულების შემდეგ (ასევე სხვა წმინდა მსახურებებზე) ჩვენ ვგალობთ სამადლობელს და სამწმინდა ღმერთის სადიდებელს

გალობა-ეს სწორედ ისაა, რაც აღასრულა უფალმა წმინდა და ბოლო სერობის დროს თავის მოსწავლეებთან ერთად. როგორც წერს წმინდა მოციქული მათე: ,,და გალობა წართქუეს (ტრადიციული პასექის გალობა) და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა" (მათე 26:30). მოციქულებმა ეს გალობის პრაქტიკა გააგრძელეს წმინდა შეკრებებზე, სადაც ასრულებდენ წმინდა ევქარისტიას. ეს ტრადიცია საყოველთაო გახდა ეკლესიებში ამიტომ საღვრთო ლტურღიის მიმდინარეობისას ირთვება გალობა და თხოვნა, რომელსაც თან ახლავს გალობა და ლოცვა, რომელსაც მრევლი აღავლენს როდესაც ჩვენ ლოცვებს ვგალობთ, ჩვენ არა მარტო ვბაძავთ ანგელოზებს, არამედ ვეხმარებით საკუთარ თავს დავამშვიდოთ სული, რომელიც სინდისის ქენჯნას განიცდის და სულიერად აღვამაღლებთჩვენს გულებს ზეცამდე.

ჩვენი ეკლესიის წმინდა მამები ადიდებდნენ საეკლესიო გალობის კეთილ გავლენას მორწმუნეების გულებზე მოვიყვანოთ თავისუფალ თარგმანის ხოლო სამი მაგალითი. წმინდა ბასილ დიდი წერს: ,,გალობას მოაქვს სულიერი სიმშვიდე და ადგენს მსოფლიო ბრძანებლობას... მას მიაქვს მწუხარება და მოაქვს სიმშვიდე და სიხარული." წმ. ავთანასე დიდის სიტყვებით ,,გალობით მშვიდდება თრთოლვა, აშლილობა და გულქვაობა; და ნებისმიერი იარა, მწუხარებით მიყენებული, ინკურნება." და, ბოლოს, წმინდა იოანე ოქროპირი ამტკიცებს, რომ ,,გალობისას ჰაერიც კი წმინდა ხდება."

ამასთან ერთად ჩვენ უნდა გავარკვიოთ თუ როგორ აღწერს ეკლესიის სინოდის კანონები გალობას. ეკლესიებში ისმის გალობა არა იმიტომ, რომ მორწმუნეებს სიამოვნება მიანიჭონ, როგორც მუსიკალურ წარმოდგენაზე. როგორ ამბობს იოანე ოქროპირი, "ეკლესია-თიატრი არაა, რათა შეგვეძლოს რამე

მოვისმინოთ ჩვენი სიამოვნებისთვის." ეს მომღერლების კონცერტი არაა, რომლებიც დემონსტრირებას უკეთებენ თავიანთ ვოკალურ და მუსიკალურ შესაძლებლობებს. გალობის მიზანია-არა მარტი გავაღვიძოთ გრძნობა, არამედ მივიყვანოთ სული ჭეშმარიტ სინანულამდე, თავშეკავებამდე, სულიერ სიფხიზლემდე და ყურადღებამდე. ეს აძლიერებს ჩვენ ლოცვას, გვიბიძგებს რა უფრო დიდ ერთგულებასა და უფლის სიყვარულზე. გალობის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ მადლიერებასა უფლის დიდება. დიდი ნაწილი გალობებისა შედგენია სახარებისეული ნაწყვეტებიდან (განსაკუთრებით ფსალმუნებიდან), ასე რომ ეკლესიური გალობა ღვთის სიტყვას უფრო გასაგებსა და მელოსიურს ქმნის, და აზრი უფრო ნათელი ხდება.

სწორედ ამ მიზეზით ეკლესია მიუწოდებს მგალობლებს იგალობონ ისე, რომ მრევლს შეეძლოს გაიგოს გალობის სიტყვები და ერთობლივად მონაწილეობა მიიღოს საერთო ღვთის მსახურებაში გალობა-ეს ლოცვაა, რომელიც გვასწვის ლოცვას, რიტმის გამოყენებას და ინტონაციას. თუ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას გალობის სიტყვებს, რომელსაც ვგალობთ მთელი წლის მანძილზე ეკლესიებში, ჩვენ გავიგებთ, რომ ისინი შეიცავენ მთლიანად დოგმატურ და ეთიკურ ეკლესიის სწავლებას (აგრეთვე მთავარ მოვლენებს უფლის ცხოვრებიდან ღვთისმშობლისა, წმინდა მოციქულებისა და წმინდანებისა, რომლის, ხსენებათა დღეს აღვავლენთ ყოველდღიურად). გალობის არსი უფრო ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრე იყვნენ ბერები, რომლებიც არასდროს სწავლობდნენ ღვთისმეტყველებას (ზოგიერთი მადგანი ძვლისვს წერდა და კითხულობდა), და მითუმეტეს მათ შესძლეს დაეგროვებინათ მნიშვნელოვანი საღვრთო ცოდნა, საღვრთო მსახურებას და საეკლესიო გალობაზე (მათი პირადი სიწმინდესა და ასკეტიზმთან ერთად) რეგულარული დასწრების მეშვეობით.

ვიანიდან ლიტურღიულ მსახურებებზე ჩვენ ვგალობთ და ვლოცულობთ (და არ ვმონაწილეობთ კონცერტში), მართმადიდებლური ეკლესია არ იყენებს მუსიკალურ საკრავებს. მაგალითად ორღანმა შეიძლება მშვენიერი ტექნიკური შესრულება უზრუნველყოს, რომელიც ჩვენ უდავოდ მოგვეწონება, მაგრამ ასეთმა შესრულებამ შეიძლება მოგვაშოროს მლოცველობითი მდგომარეობიდან. მართლმადიდებლური ვოკალური მუსიკა საღვრთო ლიტურღიაში განსაკუთრებულად გამოხატავს ჩვენ სულიერ ნაბიჯებს მის სამლოცველო გზაზე, რათა ჩვენ შეგვეძლოს მივაღწიოთ უმაღლეს წერტილს ზეიმისას (ევქარისტიული წმინდა საიდუმლოებები). იმის გამო, რომ ჩვენ შეგვეძლოს რწმენით, სიყვარულით და თრთოლვით მიუახლოვდეთ წმინდა ბარძიმს ,,რათა ვიყოთ თანაზიარნი სამუდამო ცხოვრებისა" (როგორც ვგალობთ ლიტურღიაზე განწმენდილი ძღვენის დროს ქერუბიმთა გალობის მაგივრად).

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, ეკლესიაში გალობა წარმოადგენს ჩვენთვის ძვირფას სულიერ საჩუქარს. ეს დიდი პოეტების შემოქმედების ნაყოფია და ჰიმნოგრაფებისა, აღმოცენებულისა მთელი ცხოვრების მანძილზე ეკლესიაში; ეს ძვირფასი მხატრული მემკვიდრეობაა. სწორედ ამიტომ აგრძელებს ჰიმნოგრაფია არსებობას დღევანდელ დღემდე, ასულდგმულებს, აბრწყინებს და ახალ ცხოვრებას აძლევს მორწმუნეებს. ამასთან ერთად, რათა სიტყვებმა და გალობის სწავლებამ მიაღწიოს ჩვენს გულებამდე, თითოეული ჩვენგანისაგან მოითხოვება უაღრესი

ყურადღება და ძალისხმევა, დამალული სულერი განძის ძიებისას ეს ძალისხმევა ღირსია ამისა, რადგან სულერი სიმშვიდე ჭეშმარიტად უფრო მადლს წარმოადგენს. ამინ.